

თემის ხელმძღვანელი რუსუდან ცეცხლაძე

კოლხიზმები გურიის ტოპონიმებსა და ჰიდრონიმებში

სოფიკო ქარდავა
ოზურგეთის რაიონის
კ. მეგრელიშვილის სახელობის
შრომის საშუალო სკოლა

სუფსა-ნატანების ხეობათა ტოპონიმში, კოლხური ფენების არსებობა და თუნდაც მათი გავლენა გურულ კილოში კანონზომიერად უნდა მივიჩნიოთ, რადგან ვიცით, რომ ჩვენი



“ჩემი გურია ჩემი გულია”

საამაყო გირიის ტერიტორია უძველესი ისტორიული კოლხეთის ნაწილია. გურიის ტოპონიმების საკითხი ძალიან საფუძვლიანადაა შესწავლილი და ამასთან ერთად დასაბუთებულად არაერთი მეცნიერის ნ.მარის, ივ. ჯავახიშვილის, ალ. ცაგარელის, ი.მეგრელიძის, ე.თაყაიშვილის და სხვა მკვლევარების მიერვდა ამის შესახებ არსებობს საკმაოდ ვრცელი ლიტერატურაც.

ქვედა პალეოლითიდან მოყოლებული აქ ადამიანის ცხოვრების უწყვეტი კვალია

დადასტურებული, რომელიც არქეოლოგიური კვლევითა და სხვადასხვა ისტორიული ღრმა კვალთა საბუთდება. მაგალითად, მინდა მოვიყვანო ომფარეთში აღმოჩენილი ადრე შუასაუკუნეების ციხე-სიმაგრე, რომელიც მოიცავს რამდენიმე ბუნებრივ გორას, ბრტყელ აგურებს, კრემიტებს,სასიმაგრო სისტემებს, კოშკის(?) ნაშთს და სხვ.

აქვე ერთ-ერთ გორაზე აიკრიფა კაჟის ანატკეცი და კაჟისავე იარაღი დამუშავებისა და გამოყენების კვალთა.

მის მიხედვით ჩვენ შეგვიძლია კანონზომიერად წარმოვიდგინოთ სუფსა-ნატანების ანუ კოლხური ფენების ოდიდგანვე საკმაოდ ღრმა განვითარების სურათი.

ჩემს მიერ წმოდენილი მასალა, ცხადია, სრული ვერ იქნება, რადგან ზოგიერთი მიკროტოპონიმია საკმაოდ ამოუწურავი და სადავოცაა. ბოლო საუკუნის მანძილზე მოვლენები ამ ტერიტორიაზე წარმოდგენილად სწაფად ვითარდებოდა,

უძველესი მიკროტოპონიმის საკმაოდ დიდი ნაწილი საერთოდ გაქრა, შეიქმნა ახლები, ზოგსაც სახელები შეუცვალეს, არაერთგზის შეიცვალა სამეურნეო სტრუქტურაც. მიდიოდა ძველი თაობა და თანდათან ახალ თაობაში

ქრებოდა ინტერესი მიკროტოპონიმის ფონდების დაცვის მიმართ. ყოველივე ამან, ბუნებრივია, გაართულა მიკროტოპონიმის სრულად აღწერა, ამიტომ საჭიროა ხელი შეეწყოს მიკროტოპონიმის კვლევა-ძიების განვითარების შემდეგ საფეხურებს.

მინდა ისევ კოლხურ ფენებს დავუბრუნდე. ივ. ჯავახიშვილის თქმით, გურულები და იმერლები წარმოშობით ქართველი არიან. ისინი დასავლეთში მესხებთან ერთად გადმოვიდნენ, მხარე ორად გაკვეთეს და ზღვაზე გაიჭრნენ:

სამხრეთით დარჩნენ: ლაზები, ჩრდილოეთით: _მეგრელები. ამის უტყუარ

მოწმედ მკვლევარს მიაჩნდა რეგიონის ასეთი ძველი ტოპონიმები და Hჰიდრონიმები, როგორიცაა ოჩხამური, ოჭილაური, ონჭიკეთი, გუბაზოული, ჭუმათი, ოცხანა და სხვ. ამ ტოპონიმების შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი. მეგრულ-ლაზების დასახლება სუფსა-ნატანების ხეობაში, გახმოვანების გარდა დასტურდება გვარ-სახელებითაც მაგალითად, მეგრული გვარებია :ჭყონია, ყენია, დარჩია, გოგელია, ხვინგია და ა.შ. ლაზური: ტულუში, ჯაში, ხალვაში, ციტაში, შარვაში(შარვაშიძე) მორგოში(მორგოშიძე), შარაში(შარაშიძე) და მისტ. ამ გვარებმა დროთა განმავლობაში რა თქმა უნდა განიცადა და დღესდღეობით სრულყოფილი სახითაა ჩვენამდე მოღწეული.

გურიის და აჭარის ტერიტორიაზე გვხვდება ისტორიულად შემორჩენილი რამდენიმე აბორიგენული და მეგრულ-ლაზური გავრი, რომლებიც ოდიშისა და ლაზეთის გვართა

ნომეკლატურაში არ გვხვდება. სწორედ ამიტომ შეგვიძლია ეს მტკიცება დასაბუთებულად მივიჩნიოთ.

ძველ ქართულ ონომასტიკონში გვხვდება ტ-ზე დაბოლოებული საკუთარი სახელები, რომელთაგანშიც ან შვილი ელემენტების დართვით ბუნებრივად ვლუბულობთ გვარებს. მაგალითად, ნანი-ტ-ა, ნანი-ტ-ა-შვილი, ბერიტ-ა, ბერიტ-ა-შვილი, ოსიტ-ა, ოსიტ-ა-შვილი-ი, რატ-ი, რატი-შვილი-ი, როგორც ვხედავთ საკუთარ სახელებს ტ-ს შემდეგ აქვს ა ნა ი მათი განმარტება ასეთია: ისინი სიტყვას ანუს სახელს გაძლიერებულ სააღერსო მნიშვნელობას ანიჭებს, ანუ მაკნინებალია. ჩვენ

ამ დებულებაში ეჭვის შეტანის საფუძველი პრაქტიკულად არ გაგვაჩნია.

რაც შეეხება შეხედულებას, რომლის მიხედვით, სუფსა-ნატანების ხეობაში ანუ, იქ, სადაც კოლხური ფენები, ქართველური ტომების, მეგრულ-ლაზები ბინადრობდნენ, ადიღურ-აფხაზური ტომები ცხოვრობდაო, ფიქრობდნენ, მცდარია

რადგან არ არსებობს მისი მტკიცე დასაბუთება ისტორიულ-ლინგვისტური ფაქტებიც მწირია და ისიც ამას არ ასაბუთებს.

იოსებ მეგრელიძემ კოლხური ფენის საკითხი სპეციალურად შეისწავლა. მან ზოგადად განსაზღვრა მეგრულ-ლაზური ფენები გურულ კილოში და მათი წარმოშობის მიზეზი საკმაოდ ნათლად ახსნა. მან შეაჯერა ათობით მეგრულ-ლაზური გახმოვანების ტოპონიმი და ჰიდრონიმი და მოგვცა მათი სარწმუნო ეტიმოლოგია. მისი კვლევები ემყარება არა მარტო ისტორიულ ცნობებს, არამედ ამ რაიონში საველე მუშაობისას მოპოვებულ მასალებსაც, მას აგრეთვე მოხმობილი აქვს ლეგენდა-გადმოცემები და მითოსური რეალობები. მკვლევარის აზრით -ათ\|-თ-ლაზურ-მეგრული წარმოშობის მორფემებია და მათი მეშვეობით წარმოქმნილ ტოპონიმებს მეგრულ-ლაზურის კუთვნილებად აცხადებს. ასეთი კი საკმაოდ ბევრია, მას მაგალითებად დასახელებული აქვს ტოპონიმები ჯუმ-ათ-I,

გვირაბრ-ათ-ი, ბულღავ-ათ-ი, იმნ-ათ-ი, კოკ-ათ-ი, კონჭკ-ათ-ი და ბევრი სხვა.

-ათ ვარიანტია საერთო ქართველური _ეთისა, რომელიც -ათ, -ეთ, _ით, _უთ, _ოთ -ის ფუნქციის ტოპოფორმანტია. ათ-იანი ტოპონიმების ავტორისეულ დასკვნასა და ანალიზში ეჭვის შეტანის საბუთი არ გვაქვს.

განვიხილოთ რამდენიმე მეგრულ-ლაზური წარმოშობის ტოპონიმი, მათი ეტიმოლოგიური წარმოშობა და თავისებურობანი, კერძოდ ო-ე და ო-ეთ ცირკუმსუფიქსიანი მიკროტოპონიმი და ჰიდრონომები.

ორაგვე, ერთი შეხედვით ემყარება ძველ ემყარება ძველ ქართულ სიტყვას რაგვს, რომელიც "სარაგვს", "რაგვით" ანუ მცირე მახეებით გარკვეულ ფრინველზე სანადირო ადგილებს ნიშნავს. ამ სიტყვას სხვა მნიშვნელობაც აქვს მახის ანუ ხაფანგის სინონიმადაც ითვლება. დღეს სადაო არ უნდა იყოს ამ სახელწოდების ზანური წარმოშობის სახელად მიიჩნევა. ორაგვე მაჩხვარეთის ერთ-ერთი კუთხეა. ამ ძირს უკავშირდება რამდენიმე ტოპონიმი და ჰიდრონიმი: ორაგვე ღელე ორაგვეში, ორაგვის ზურგი ადგილი სოფელ აცანაში, ორაგვის ღელე გვიმრალაურში. ეს ძირი ხმიანობს გურიაში ცნობილ გვარში ორაგველისძე_ ორაგველიძე.

აქვე შეგვიძლია გამოვყოთ ასევე რამდენიმე ო-ეთ ცირკუმსუფიქსიანი სახელი. ო-ნჩომ-ეთ-ი სატეს ჰქვია, შდრ-ჩომეთი-სოფელი ხევისწყალის (ძველი საჯავახოს წყალი), ზემოწელზე ეკუთვნის ხობატაურის რაიონს.

ონიშეთი- ადგილი მამათაში, საჩინო, ნათელ ადგილს უნდა ნიშნავდეს.

ონჭიკეთი- სოფელია, შედის ერკეთის(ჩოხატაურის რაიონის) სასოფლო საბაჟოში. ონჭიკეთი უნდა მომდინარეობდეს ოჭიკეთიდან ანუ: "საჭინკეთიდან"...

ჭინკებით დასახლებული ადგილიდან. ამ სოფელს ორი სახელით მოიხსენიებდნენ ხოლმე ხან კათად, ხან ონჭიქედად. ე.ი ერთგან თუე თ სუფიქსიან სახელად მიიჩნევდნენ, მეორეგან ქედ საზღვრულიან ტოპონიმად, მავანნი ასე შლიდნენ ამ სიტყვას ონჭ-იქეთ-ი.

ჭინკა\ჭიმკა სიტყვები არა მხოლოდ გურულ დასავლეთ საქართველოს, სხვა ტერიტორიაზე არსებულ გაეოგრაფიულ სახელებში, ქვემო შუხუთში, სოფელ გორის ფერზე(ლანჩხუთის რაიონი) ღელეებს უწოდებენ.

სოფელი ჭინკათხევი ყოფილა იმერეთის ტერიტორიაზე, ასე რომ ჭანეთის ისტორიულ მხარეში ამ სიტყვას ხშირად იყენებდნენ როგორც ფოლკლორის და ჩვეულებრივ სასაუბრო მეტყველებაში, ისე ტოპონიმებში.

კნოჭ-ათ-ი(ფუძეში გამოიყოფა ლაზურ-მეგრული ჰკ ელემენტი). ჩიბ-ათ-ი მიჩნეულია ჩომეთის პარალელურ მორფემად აღიქმება.

ნ. მარი ამ სტრუქტურას ორფუძიანად თვლიდა და მასში მეგრულ_აფხაზურ მორფემებს გამოყოფდა. ხელვაჩაურის რაიონში ი.სიხარულიძის მიერ დადასტურებულ ონჩომეთ მიკროტოპონიმში “ჩომ” ძირი ჩანს.

არსებობს თქმულება, რასაც მეცნიერთა ნაწილი ეთანხმება.”ურეკი”, ტყიან გაუვალ ადგილს ნიშნავდა, სადაც მონადირეებს უჭირდათ ნადირობა. არც ის თვალსაზრისით უნდა იყოს სწორი, თითქოს ეს სახელწოდება სვანურიდან მოდის.

მთიან სამეგრელოში მიკროტოპონიმები ნა-ეკ-ურ-ა ურეკის განმარტებას “ღრმა, გაუვალ ადგილს უჭერს მხარს”.

ჭანჭათში(დასახლებული ადგილი ლანჩხუთის რაიონში) ჭან ეთნონიმი გაცოცხლებულია, ხოლო სეგმენტი ჭჭა დანახულია ჭახ-ათ-ში. ჭან ტომობრივი სახელი დასტურდება გურიის ტერიტორიაზე არსებულ ბევრ ტოპონიმსა და ჰიდრონომში: ჭანიეთი, ჭანიეთური, ჭანგურეთი, ჭანიმი, ჭანიმიდელე, ჭანიყვაი...

ოყინეთი – ადგილი, საძოვარი სოფელ ლესუბანში(ჩოხატაურის რაიონი, მდრ.ყინაყვათი)

ოჩინეთი-ადგილი, საძოვარი სოფელ გოგილესუბანში.

ორჩხუში-ქედი, ტყე ნაბელღავში.

ორჯუმალი-ადგილი, დასახლება სუფსაში, სათიბი ჩოჩხათში, სათიბი ხორეთში.

ოღრალეთი-ტყის ადგილის გორაკის სახელწოდება სოფელ ორაგვეთში.

ოსკონჯირე-ღელე ჩოხატაურში

ოჩორჩხა-ადგილი ახალშენში, შედის სოფელ ხიდისთავში(ჩოხატაურის რაიონი)

ამავე სახელწოდებისაა ადგილი სოფელ ძიმითში.

ოჩორჩხინა-ღელე ბაილეთში, გულიანში, კოჭკათში, მაჩხავრეთში, ნინოშვილში, ჯუმათში.

ოჩოჩქინი-ღელე ჩომეთში.

ოჩოჩხა-ადგილი მდინარე გულეფაზე ასკანაში, ადგილი საჩაიე ახალშენში, მთისპირში, გორაბერეჟრულში, ღელე სილაურში.

ოჩხამურა-ადგილი ვანისძირში, უკანავაში, ერთვის ბახვისწყალს.

ოჩოჩხები_ადგილი ახალშენში.

ოჩოჩხირე-ადგილი, საძოვარი გვიმრაღაურში.

სწორედ ჩოჩხ ძირს უკავშირდება ლანჩხუთის რაიონის ერთ-ერთი სოფლის ჩოჩხათი სახელი. კოლხური ჩოჩხს ქართულად “ცაცხვს” ნიშნავს.

ეტიმოლოგიურად ჩოჩხათი ცაცხვეთს ნიშნავს, ანუ ადგილს ცაცხვით განაშენიანებულს.

ჩხ ძირი ასევე გვხვდება ლანჩხუთში ლა-ზანური დანიშნულების აღმნიშვნელი პრეფიქსია.გ.გ.ბედოშვილი მიიჩნევს რომ ეს პრეფიქსი, ქართულ სა პრეფიქსს მიესადაგება. ნN ფონეტიკურად შეეწყო ლა და ჩხუ ზანური წარმოშობის შრომის აღმნიშვნელ სიტყვას. თ სუფიქსი ქონება სიმრავლის აღმნიშვნელია და მის ხმოვანი ვარიანტები ათ, ით, ეთ, ოთ, უთ გვხვდება ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე არსებულ არაერთ ტოპონიმსა და ჰიდრონიმში. ასე რომ ლანჩხუთში კოლხური წარმოშობის სიტყვა ფიქსირდება, რაც მის უძველეს ფესვებზე მიუთითებს.

არანაკლებ საინტერესოა ტოპონიმი ქვაბლა,(ჩოხატაურის რაიონი) მის წარმომავლობას უკავშირდება არაერთი გადმოცემა “ქვა ბღავის” ასე განმარტავენ მას სოფელში. ამავე სახელს ატარებს მდინარეც, რომელიც სწრაფად მიედინება,

ფსკერი გამჭვირვალეა და ქვებიც თითქოს გადარეცხილი და დასუფთავებულია.


და ელემენტი მეგრული “ღალის”(“ღელე, მდინარე”) ნაწილია. “ქვაბ” ფუძე კი ქართულია, ნიშნავს “ქვაბულს”, კლდეში ნაკვეთ ქვაბს.

ოხოჯური-ტოპონიმი როგორც ჩანს ერთ-ერთ უძველესია. “ჯურ” მეგრულად ხარს ნიშნავს, არსებობს თქმულება, რომ აქ ოდესღაც მეგრულ-ქანები მეჯოგეები ცხოვრობდნენ მსხვილფეხა საქონლის ჯოგებიც აუვლიდნენ და აქედან კუთხემაც მიიღო სახელწოდება ოხოჯური ანუ სახარე ადგილი.

ახლა მინდა შევჩერდეთ ყვა მაწარმოებელი აფიქსით გათავებულ ზოგიერთ ტოპონიმზე. ყვა მაწარმოებელი აფიქსით გათავებულ ზოგიერთ ტოპონიმზე. ყვა დაბოლოებაში ვა|ა ავან კოლხურ-ქართველური სუფიქსიდან უნდა მომდინარეობდეს. ყუ თანხმოვანის დართვა აშკარად ქართული ენის სპეციფიკური ბუნებიდან მომდინარეობს (გავიხსენოთ “საყდარი” აყუდებს და ა.შ. მეგრულში “ყუდე” “სახლს” ნიშნავს).

აგიდაყვა ტოპონიმში საძიებელია, აგიდა ძირი ადამიანის საკუთარ და მეტსახელს უკავშირდება. ხალხური გადმოცემების მიხედვით აგიდა, აგუდა (შდრ.ქართულად ძმა\ძამა, მეგრულად ჯიმა\ჯან.ჯუმა)

ბერეყვა ჰიდრონომია, ჰეკია ღელეს იანუელში(ჩოხატაურის რაიონი). არაა გამორიცხული



გვარიც ყოფილიყო. ამ სიტყვის ვარიანტი ბერაყვა(ღელე, ერკეთში, ერთვის მდინარე სუფსას იანუელში)

ისტორიულად ბერაძეთა, ბერაიების, ბერავათა კუთვნილს უნდა ნიშნავდეს.

მალთაყვაც(სოფელია გურიაში, მდინარეც ამავე სახელს ატარებს) უნდა მომდინარეობდეს მეგრულ-ქანურიდან. მალთაყვა ძველად ნიშნავდა მალთას, მალთას ძეთა კუთვნილ ადგილს.

ბოყვა-სოფლის ერთ-ერთი კუთხეა მურვანაში, შედის

ს.ჩოჩხატში(ლანჩხუთის რაიონი). ს. გულიანის ერთ-ერთი ადგილიც და სოფელ ზენოზის ღელეც ატარებს ამ სახელს. ძნელია ბო რაც უკავშირდება ბოყვა ტოპონიმი გვხვდება რაჭაშიც. აქ გასაკვირი არაფერია, რადგან გურია-აჭარა-რაჭა ხომ ისტორიული კოლხეთია, ასე რომ ბოყვა მიგრაციული ტოპონიმია.

რაცა-(ადგილია ბახვში, ბოხვაურში, დობინში, გუთურში, ჩანჩეთში, ჩოხატაურში)

შესაძლოა უკავშირდებოდეს გავრს –როყვას, მაგრამ ისმის კითხვა რას ნიშნავს რო ?...

ჯურუყვეთი- ტოპონიმში დაიშლება ასე ჯურუ-ყვ-ეთ-ი. ჯურუ სახელური ძირი უნდა იყოს, ყვა-ნათელია, ა-ხმოვანს ჩაენაცვლება ე; ეთ გეოგრაფიულ სახელთა მაწარმოებელი სუფიქსით. ვფიქრობ ჯურუყვადან უნდა მომდინარეობდეს ჯურუყვეთი.

ვფიქრობ სამომავლოდ კიდევ დავძებნი ზოგიერთ ტოპონიმს ჩემი კუთხის მკვიდრთა(უფროსი თაობის) მეხსიერებაში ჯერაც ცოცხლობს. მეშინია ახალი სახელოწოდების ტოპონიმებმა არ განდევნოს ძველი, ფასდაუდებელი, დღემდე გადარჩენილი წინაპართა ნაანდერძები.

თემაზე მუშაობამ დამარწმუნა კოლხიზმების მდიდარი კუთხის სიძველეში, ხალხის ცოცხალი ფანტაზიის ბუნებრიობაში და უნებლიედ ამეკვიატა პოეტ ცირა ქიტიაშვილის ლექსიდან სიტყვები:

“ტოპონიმიკა, ტოპონიმიკა,

სად არ მახედებ სად არ მიმიყვან”

ამ მასალით დაინტერესებამ და კვლევამ ერთხელ კიდევ შემახსენა სამშობლოს სიყვარულის აუცილებლობა, პატივისცემა წინაპართა “ანდერძ ნაამაგარისა”